ოქმი №8

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 27 მაისს.

სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დამთავრდა 11:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. შომახია, ე. ოდიშარია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა, გ. ოდიშარია, მ. ნანეიშვილი, ნ. ხუხუნი, ვ. კირცხალია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. შომახია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე
   მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
   სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
   კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 21 მაისს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება - ქალაქ სენაკში, უსახელო ქუჩისათვის დავით აღმაშენებლის V ჩიხის და დავით აღმაშენებლის IV შესახვევის სახელის მინიჭების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე, რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის მოსმენისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შომახია